ჩემპიონატი

“დინამო” – “სტახანოვეცი”

პირველი წუთი და პირველი ბურთი თბილისის “დინამოს” კარში, – ასე მოულოდნელად დაიწყო 12 ოქტომბერს მატჩი საკავშირო პირველობაზე თბილისის “დინამოსა” და სტალინოს “სტახანოვეცს” შორის.

სტუმრების უპირატესობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მე-5 წუთზე ხარბედიამ გაათანაბრა ანგარიში. “დინამოს” თავდამსხმელთა მწყობრი იერიში ფროლოვის ენერგიული დახმარებით, ტაიმის ბოლომდის არ შენელებულა. მე–20 წუთზე მ. ბერძენიშვილმა “პენალტით” მეორე ბურთი მოათავსა სტუმრების ბადეში. განსაკუთრებით ლამაზად იქნა გატანილი სტახანოვეცის კარში მე-3 ბურთი. პაიჭაძე მარცხენა ფრთიდან აწვდის ბურთს გავაშელს, გავაშელი – ბერეჟნოის, ხოლო ეს უკანასკნელი ხარბედიას, რომელიც აღმოჩნდა სრულიად თავისუფალი კარის წინ. ნელი, მაგრამ ზუსტი დარტყმა და ანგარიში დიდდება – 3:1.

მეორე ტაიმში სტუმრები მეტი მონდომებით თამაშობდნენ. მათ კვლავ პირველსავე წუთში გაიტანეს მეორე ბურთი. ანგარიში – 3:2 თბილისის “დინამოს” სასარგებლოდ – ბოლომდის არ შეცვლილა.

ამ მატჩის მოგებით დინამოელებმა 20 თამაშიდან მოაგროვეს 24 ქულა.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 15 ოქტომბერი, 1939 წ.